LEPL State Agency on Religious Issues
Digitally signed by LEPL State Agency on Religious Issues
Date: 2019.11.06 19:25:32 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 36
(CPV98310000)

ქ. თბილისი 4 ნოემბერი, 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო - თავმჯდომარის ზაზა ვაშაყმაძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი ორგანიზაცია") და მეორეს მხრივ სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი – დირექტორის ლევან გიორგაძის სახით (შემდგომში "მომწოდებელი") წოდებული მხარეებად, ორმხრივი შეთანხმებით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს [1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „მომსახურება"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, „შემსყიდველის" ბალნსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების: SUZUKI SWIFT GLX 1.2 5D 5M/T სახელმწიფო ნომერი FFI 337 და RENAULT DUSTER სახელმწიფო ნომერი FFI 491 ქიმწმენდის მომსახურება (CPV 98310000).

2.2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების SUZUKI SWIFT GLX 1.2 5D 5M/T სახელმწიფო ნომერი FFI 337 და RENAULT DUSTER სახელმწიფო ნომერი FFI 491 ერთჯერადი ფასი ერთი ავტოტსატრანსპორტო საშუალების ინტერიერის ქიმწმენდის შეადგენს140(ასორმოცი) ლარს დღგს ჩათვლით.
გასაწევი მომსახურების მისამართია : თბილისი ბელიაშვილის ქუჩა , სოკარი ჯორჯია პეტროლეუმის აგს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **280 (ორასოთხმოცი) ლარს** და მოიცავს ყველა გადასადადს. ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მომწოდებელს".

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა განხორციელდება „შემსყიდველის" მოთხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 10 სამუშაო დღის ვადაში..
4.2. „მიმწოდებლის" მიერ გაწეულ მომსახურებაზე, გამოვლენილი დეფექტებისა და უზუსტობების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. "მიმწოდებელი" „შემსყიდველს" მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვას, რაზეც ფორმდება „მიღება–ჩაბარების" აქტი.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების" აქტი.

6.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება „მიღება–ჩაბარების" აქტის/ების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.4. „მიღება–ჩაბარების" აქტისა წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. ხარისხიანად და დროულად (რიგგარეშე) შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

7.1.2. მომსახურების ჩატარების შემდეგ დაუყოვნებლივ გადასცეს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ავტოსატრანსპორტო საშუალება.

7.1.3. დროულად განიხილოს "შემსყიდველის " მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დაფინანსება წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. და 6.4. პუნქტების შესაბამისად.

7.2.2. დროულად განიხილოს "მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლებები

8.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1.მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

8.2.2. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების
პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული "შემსყიდველისა" და/ან "მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე
არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
10.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
11.2. მხარეებს, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

12. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების კონტროლი

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ლოჯისტიკის მენეჯერი მთავარი მამუკა ბუხნიკაშვილი.
13.2. კოორდინატორის ფუნქციებია:
13.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.
13.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და "მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმება.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.

15.1.2. მხარეთა შეთანხმებით.

15.1.3.საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 17. ინტერესთა კონფლიქტი

17.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმეტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

"შემსყიდველი ორგანიზაცია"	"მიმწოდებელი"
სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ.N7 სახელმწიფო ხაზინა ს/კ 205311232	სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი ქ. თბილისი, სს "საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22 ა/ა GE02BG0000000233446600 ს/კ 202352514
სააგენტოს თავმჯდომარე	დირექტორი
/ზ. ვაშაყმაძე/	/ლ.გიორგაძე/

LLC SOCAR GEORGIA PETROLEUM

Digitally signed by LLC SOCAR GEORGIA PETROLEUM
Date: 2019.11.07 15:02:50 +04'00'